



ერთი ტიპის ერთხანობიანი თხზული ეკონომიკური ნეოლოგიური ტერმინების მართებული დანერქოვითა და თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში

ბადრი ცხადაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი,
სტუ-ს მთავარი სპეციალისტი
ზვიად ცხადაძე,
სტუ-ს მაგისტრანტი
მკაე მუშუნიძე-ცხადაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს უნივერსიტეტის პროფესორი
zebede@rambler.ru

რეზიუმე

საქართველოს თანამედროვე განათლებული საზოგადოების წარმომადგენლები, ქართული მასშედი, სპეციალისტები და ექსპერტები, ეკონომისტები, მეცნიერი-მკვლევარები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში მომუშავენი და სხვ. ენობრივ-გრამატიკული, გამოყენებითი ლინგვისტიკის, სალიტერატურო ნორმების თვალსაზრისით არაიშვიათად თხზულ ნეოლოგიურ ეკონომიკურ ტერმინებს არამართებულად წერენ. ცხადია, ასეთი შემთხვევები უვიცობის ან ნაკლებწიგნიერების ბრალი არ გახლავთ. ჩვენი აზრით, ერთცნებიანი კომპოზიციები, მაგალითად, ბიზნესინჟინერინგი, ბიზნესსუბიექტი, ბიზნესპროცესები, ბიზნესსამართალი და სხვ. ცალ-ცალკე ან დეფისით დაწერა – არასწორია (ბიზნესინჟინერინგი// ბიზნეს ინჟინერინგი, ბიზნეს სუბიექტი // ბიზნეს სუბიექტი // ბიზნეს-სუბიექტი, ბიზნესპროცესები // ბიზნეს-პროცესები, ბიზნეს-სამართალი // ბიზნეს სამართალი) გამოწვეულია ქართულ ენაზე უცხოური ენების (ინგლისური, რუსული...) ზეგავლენით (მაგ., ქართ. ბიზნესინჟინერინგი, ინგლ. **B u s i n e s s – E n g i n e e r i n g**), რუს. **Б и з н е с - и н ж и н е р и н г**).

წიგნიერ საზოგადოებას და ზემოგანხილული ტერმინების მომხმარებელთ შვეკსენებთ, რომ ნებისმიერ ენას საკუთარი ორთოგრაფიული წესები, ნორმები და სტრუქტურა აქვს. ყველა ზემოხსენებული (და მისი მსგავსი) თხზული სიტყვა-ტერმინი ერთცნებიანი კომპოზიტი და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით, ერთად (უდეფისოდ) იწერება.



თანამედროვე განათლებული საზოგადოების წარმომადგენლები, ქართული მასშედი, აღიარებული სპეციალისტები და ექსპერტები, ეკონომისტები, მეცნიერი-მკვლევარები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში მომუშავენი და სხვ., ენობრივ-გრამატიკული, გამოყენებითი ლინგვისტიკის, სალიტერატურო ნორმების თვალსაზრისით, არაიშვიათად თხზულ ნეოლოგიურ ეკონომიკურ ტერმინებს არამართებულად წერენ.

ცხადია, ასეთი შემთხვევები უვიცობის ან ნაკლებწიგნიერების ბრალი არ გახლავთ. ჩვენი აზრით, ერთცნებიანი კომპოზიტები, მაგალითად, ბიზნესინჟინერინგი, ბიზნესსუბიექტი, ბიზნესპროცესები, ბიზნესსამართალი და სხვ. ცალ-ცალკე ან დეფისით დაწერა – არასწორია (ბიზნესინჟინერინგი// ბიზნეს ინჟინერინგი, ბიზნეს-სუბიექტი // ბიზნეს სუბიექტი //ბიზნეს-სუბიექტი, ბიზნესპროცესები // ბიზნეს-პროცესები, ბიზნეს-სამართალი //ბიზნეს სამართალი) გამოწვეულია ქართულ ენაზე უცხოური ენების (ინგლისური, რუსული...) ზეგავლენით (მაგ., შდრ. ქართ. ბიზნეს-ინჟინერინგი, ინგლ. **Business – Engineering**), რუს. **Бизнес-инжиниринг**).

წიგნიერ საზოგადოებას და ზემოგანხილული ტერმინების მომხმარებელთ შევახსენებთ, რომ ნებისმიერ ენას საკუთარი ორთოგრაფიული წესები, ნორმები და სტრუქტურა აქვს. ყველა ზემოხსენებული თხზული სიტყვა-ტერმინი ერთცნებიანი კომპოზიტია და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ერთად (უდეფისოდ) იწერება.

ამ წესის იგნორირებით ან არცოდნით, უცხოური ორთოგრაფიით, ერთი ათეული წლის წლის წინათ ჩვენში შემოდებული ტერმინი

ნიორი და მისთ.

ჩვენი მსჯელობის ნათელსაყოფად საილუსტრაციოდ, კონტექსტუალურად, წარმოვადგენთ ზოგიერთ ქართულენოვან ამონარიდს:

ბიზნესპროექტები: „ბიზნეს-პროექტების ფარგლებში დევნილთა შემოსავლის წყაროებისთვის 5 მილიონი ევრო და 2 მილიონი აშშ დოლარია გათვალისწინებული” (იხ. გაზ. „41 – გიორგი მარგველაშვილი – ერთად განვაგრძოთ წინსვლა”. თბ., 2013, 10 ოქტომბერი. გვ. 8);

ბიზნესინჟინერინგი, ბიზნესსამართალი: „ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ისტორია ლოგიკურად პასუხობს თანამედროვე განათლების ინტერდისციპლინარულ შინაარსს, როდესაც სხვადასხვა დარგები და მეცნიერებები სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმსაზღვრელი ხდება. სწორედ ამან განაპირობა ისეთი სპეციალობების ფორმირება, როგორიცაა ბიზნეს სამართალი, მასობრივი კომუნიკაცია, ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა”.

აქ, ამ ამონარიდში, ორთოგრაფიული თვალსაზრისით, ორი შეცდომაა: 1. „ბიზნეს-ინჟინერინგი” დეფისით იწერება, უნდა დაიწეროს ერთად, უნდა: ბიზნესინჟინერინგი; ხოლო 2. ბიზნეს სამართალი ცალ-ცალკე წერია, უნდა ერთად: ბიზნესსამართალი;

სტუ-ს ერთ-ერთ სოლიდურ ჟურნალს გარეკანზე ასე აწერია: „ბ ი ზ ნ ე ს - ი ნ ჟ ი ნ ე რ ი ნ გ ი ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი”.

ხოლო ბოლო შიდა ყდა ასეა წარმოდგენილი: ინგლისური **Business – Engineering**

Quarterly scientific magazine;



ბიზნეს-ინჟინერინგი ინგლისურად (და რუსულად) ხშირად დეფისით იწერება: ინგლ. **Business – Engineering**), რუს. **Бизнес-инжиниринг**).

ქართულშიც მისი დაწერილობა უმეტესწილად ანალოგიურია. მსგავსი დაწერილობისაა: ბიზნეს-კომუნიკაცია, ბიზნეს-გეგმა, ბიზნეს-კურიერი, ბიზნეს-პროცესები, ბიზნეს-ობიექტი, ბიზნეს-სუბიექტი, ბიზნეს-პარტ-

ასეთივე

სურათი გვაქვს იქვე, სხვა შემთხვევაშიც:

Business Engineering School

ასე რომ, უცხოური ენებიდან შემოსული ტერმინებადქცეული ასეთი ლექსემები, ორ-



თოგრაფიული თვალსაზრისით, ქართულში „პარაზიტული დაწერილობის“ სახეს იღებს და სპეციალისტთაგან მათ ნორმალიზაციას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ამის შესახებ ახლახანს აღინიშნა კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში [1, 254].

სამწუხაროდ, ინგლისური ენის ზეწოლა ქართულ ენასა და მის ორთოგრაფიაზეც საგანგაშო მასშტაბებს იძენს. თუ ასე გაგრძელდა, ხელთ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით გამართულ-გამოცემული ბუკლეტები, რეკლამები, ჟურნალები და წიგნები კი არ შეგვრჩება, არამედ ინგლისურ-ქართული „ენობრივ-ორთოგრაფიული კოქტეილი“. ამიტომ, ვფიქრობთ, უნდა აღდგეს და ხელახლა შეიქმნას წინა მთავრობის 9-წლიანი მმართველობის დროს იგნორირებულ-გაუქმებული ქართული ენის ნორმების სახელმწიფო კომისია (ენის პალატა ან ენის დეპარტამენტი) და ქართულ ენას დაუბრუნდეს წარმეული უფლებები. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ:

1. გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;
2. გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;
3. გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;
4. გაუქმდა ყველა რადიო და ტელეგადამცემა, რომელიც ქართულ ენას ეძღვნებოდა;
5. პარლამენტში შეტანილი ენის კანონი დღემდე განხილვის პროცესშია;
6. არ მუშაობს რეკლამის კანონის ის პუნქტები, რომლებიც ენას ეხება;
7. პრესის კანონში არაფერია თქმული პრესის ენაზე;
8. მომრავლდა არაქართულენოვანი სასწავლებლები (დასახელებად ისიც კმარა, რომ ქ. მარნეულში ფუნქციონირებს ჰ. ალიევის სახელობის თურქულ-აზერბაიჯანული უნივერსიტეტი, სადაც ქართული ენა გატაცებული არ არის...);
9. ქართული აღარაა სავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავლებლებში [2, 3];
10. საქართველოში მცხოვრებ ე. წ. ეთნიკურ უმცირესობებს (სომხები, აზერბაიჯანელები) საჯარო სკოლადათავრებულებს საგამოდო საგანს „ზოგად უნარებს“ თავიანთ ენაზე აბარებინებენ, ხოლო საარჩევნოდ (ბიულეტენები და სხვ.) ქართულის პარალელურად სთავაზობენ აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან, რუსულენოვან, ინგლისურენოვან ტექსტებს.
11. შემცირდა ქართული ენის საათები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; მეტიც:

ქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო ანუ ე. წ. საჯარო სკოლებში ქართული ენის ნაცვლად „ტექსტის ლინგვისტიკას“ ასწავლიან, სწორედ ისე, როგორც ამას ე. წ. „ეროვნული გამოცდები“ ითხოვს.

საინტერესოა ერთი, არამხოლოდ რიტორიკული, კითხვა: როგორ ასწორებენ „შეფასების ცენტრში“ აბიტურიენტთა ნაწერებს? რომელი და როგორი, ვის მიერ დადგენილი წესებითა და ორთოგრაფიული ნორმებით?

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ეროვნულ გამოცდებზე სპეციალისტებისმიერი ტექსტის ენობრივ-გრამატიკული და სტილისტური სწორება ყოველთვის ინდივიდუალურია, რაც იმას მოასწავებს, რომ მოშლილია ტექსტის სწორების კრიტერიუმები და შელახულია ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ნორმირება.

სპეციალისტებს, მათ შორის ჩვენც, ამის შესახებ არაერთი მოხსენება წაგვიკითხავს და არაერთი სამეცნიერო-კრიტიკული წერილიც გამოგვიქვეყნებია ცალკე თუ კოლექტურად [4], [5], [6], [7], [8], [9], [10], [11], [12], [13], [14], [15], [16], [17], მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ხმა რჩება ხმად „მღალაღებლისა უდაბნოსა შინა“.

PS. შარშან, საქართველოს პარლამენტს 2014 წლის საშემოდგომო სესიაზე უნდა განეხილა კანონპროექტი ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ, რომლის დამტკიცების შემდეგ სახელმწიფო ენის დარღვევისათვის დაწესდებოდა ფულადი ჯარიმები [18]. ვფიქრობთ, ეს მხოლოდ პირველი „პროფილაქტიკური ნაბიჯი“ იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან (შეიქმნებოდა 50-კაციანი „ქართული ენის დაცვისა და მისი ფუნქციონირების სახელმწიფო დეპარტამენტი“) და ამ საწყისი ეტაპისათვის ეს, ჩვენი მხრიდან, მისასაღებელი ფაქტი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას ჩანაფიქრი განეხორციელებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნავარაუდები დეპარტამენტი და მისი ფუნქციონირება (ენათმეცნიერ-კავკასიოლოგის ლ. ღვინჯილიას მიერ მომზადებული პროექტი) საქართველოს პარლამენტმა „დროებით ჩააგდო“. 2015 წლის ბიუჯეტში ამ პრობლემის გადასაჭრელად ვერ გამოიყო 1 მილიონი ლარი: „თქვენ ისედაც მუშაობთ ამ საკითხებზე და ჩვენი დაფინანსება რად გინდათ“, – იყო „არგუმენტირებული პასუხი“ პარლამენტის თავმჯდომარისა. პარლამენტის თავმჯდომარეც, ქართული სახელმწიფო ენის დაცვა და მისი ქომაგობა, ეროვნულ-პატრიოტული მიდგომაც ასეთი უნდა! ტელეეთერი, სარეკლამო რგოლები, აფიშაჟირნიშები, უნივერსიტეტები, სამეცნიერო შრომე-



ბი, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები კი გაივსო და გადაიჭედა „ლოჯისტიკით“, „ბიზნეს ფართობით“, „ტექნო ბუმებით“, „ტექნო პარკებით“, „ბიზნეს სუბიექტებით“, „ბიზნეს-ინჟინერინგებით“, „მომსახურეობის სერვისებით“ და ა. შ. უმართე-

ბულო და უგვანი დაწერილობებით.

ასეთი მცდარი სიტყვაფორმების მოზღვაგებას დასასრული არ უნახს, რადგან „გვირაბის ბოლოს“, სახელმწიფოებრივად, ჯერ კიდევ ბნელა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბ. ცხადაძე**, რეცენზიაა წიგნზე: ს. ლომინაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის (დ-ის) ტექნოლოგიები ბიზნესში. ყოველკვარტალური ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. 2014, №1.
2. **გ. გოგოლაშვილი**, 'ის' მტერი იყო, 'ეს' კი მოკეთე?! იხ. გაზ. 'საქართველოს რესპუბლიკა', 2009 წლის 8 აპრილი. ასევე: გაზ. 'საქართველოს დედაქალაქი', აპრილი, №47 2000.
3. **ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე**, ენობრივი დეკულტურიზაციის ტყვეობაში (წერილი მეორე) ერთი ჟარგონული გამონათქვამის შესახებ თანამედროვე ქართულში (მაგარი). ყოველკვარტალური ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1, 2013.
4. **ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე**, გლობალიზაცია, კრიზისი, სახელმწიფო ენა. ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 2012 წლის 6-7 აპრილი.
5. **ბ. ცხადაძე**, სახელმწიფო ენა, სალიტერატურო-სამწერლობო ენა და ენობრივი დეკულტურიზაცია. სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა კრებული თემაზე – „ქართული ენის როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში“. თბ., 2011, გვ. 17-18
6. **ბ. ცხადაძე**, ენობრივი დეკულტურიზაციის ტყვეობაში. ჟურნ. „პარალელი“ სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი. №1, თბ., 2011, გვ. 81-82
7. **ბ. ცხადაძე, ი. ცხორაგაული**, მშობლიური (ქართული) ენა და გლობალიზაცია. სტუ საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“ პროგრამა და მოხსენებათა კრებული გვ. 206-207. თჰე ინტერნაციონალ კონფერენცე. თჰე წორლდ ანდ ჩაუიცასუს. როგრამ, თბილისი, 2011, გვ. 21.
8. **ბ. ცხადაძე**, სახელმწიფო ენა, სალიტერატურო-სამწერლობო ენა და ენობრივი დეკულტურიზაცია. სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“, 2011, №2, გვ. 31-34.
9. **ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე**, კულტურული ენიდან ენობრივი დეკულტურიზაციისაკენ? სტუ

შრომები (ელექტრონული ჟურნალი), თბ., 2010.

10. **ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე**, გამოყენებითი სტილისტიკა (სახელმძღვანელო). წიგნი პირველი. თბ., 2010, გვ. 465.

11. **ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე**, ენობრივი სიტუაცია და ლიტერატურული პროცესები XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის შუქზე. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2009.

12. **ბ. ცხადაძე, კ. ფხაკაძე, თ. თევზაძე, გ. ნადიბაიძე, ვ. ფხაკაძე**, პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების ვერბალური ნაწილის არასრული კრიტიკული ანალიზი. იხ. კრებ.: ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის – „ქართული ენა და ლოგიკა“ – ყოველწლიური დამატება, კ. ფხაკაძის რედაქციით. თბ., 2007. გვ. 23-39.

13. **ბ. ცხადაძე**, ზოგი სტილისტური გამოთქმის შესახებ ქართულში (გასაგები მიზეზები..., გარკვეულ შემთხვევაში, გარკვეულწილად). ჟურნ. „კულტურა“ (სამეცნიერო – მეთოდური ჟურნალი), თბ., 1998, 2, გვ. 73-83.

14. **ბ. ცხადაძე, ე. ქავთარაძე**, ზოგი რამ რუსული ენის ლექსიკურ-სემანტიკური გავლენის შესახებ ქართულ ენაში. ჟ. 'სკოლა და ცხოვრება', №5, 1990, გვ. 31-35.

15. **ბ. ცხადაძე**, ენას ცოდვილის ხელით არ უნდა შევეხოთ". გაზ. "ახალი ეპოქა", 2002 წლის 4-8 თებერვალი, №9.

16. **ბ. ცხადაძე, ვ. დათაშვილი**, ქართული სახელმწიფო ენისა და საქმიანი კომუნიკაციის გასაჭირი. ჟ. „სოციალური ეკონომიკა (21-ე საუკუნე)“. მარტი-აპრილი. №6. თბ., 2014.

17. **ბ. ცხადაძე, ა. სონდულაშვილი**, ქართული ენის ბედი და უბედობა. სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“. თბ., 2015, №7. გვ. 86-106.

18. „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის დარღვევაზე ფულადი ჯარიმები წესდება. 05 2-4 სექტემბერი, 2014. წყარო: <http://www.for.ge/veewptp?forid=355339&cat=3>



ON THE CORRECT SPELLING OF THE SAME TYPE UNICONCEPT, DEVISED ECONOMIC NEOLOGICAL TERMS IN MODERN GEORGIAN LITERARY LANGUAGE

**BADRI TSKHADADZE, GTU,
EKA KHUPHUNIA-TSKHADADZE,
ZVIAD TSKHADADZE**
zebede@rambler.ru

Summary

The representatives of modern Georgian educated community, Georgian mass media, specialists and experts, economists, research scientists, the workers of governmental and non-governmental sectors, etc. spell frequently devised neological economic terms incorrectly from the viewpoint of language and grammar, applied linguistics, literary norms. Obviously such cases are not the result of ignorance or lack of education. In our opinion the incorrect spelling of uniconcept composites, such as, e.g., ბიზნესინჟინერინგი, ბიზნესსუბიექტი, ბიზნესპროცესები, ბიზნეს-სამართალი (business engineering, business subject, business processes, business law, etc.) separately or with hyphen: ბიზნეს ინჟინერინგი // ბიზნეს-ინჟინერინგი, ბიზნეს სუბიექტი // ბიზნეს-სუბიექტი,

ბიზნეს პროცესები // ბიზნეს-პროცესები, ბიზნეს სამართალი // ბიზნეს-სამართალი (business engineering // business-engineering, business subject // business-subject, business processes // business-processes, business law // business-law) is stipulated by the influence of foreign languages (English, Russian ...) on the Georgian (e.g. Georgian - ბიზნეს-ინჟინერინგი, English – business-engineering, русск. бизнес-инжинеринг).

Let us remind the educated community and users of terms considered above that each language has its own orthographic rules, norms and structure. All the above indicated devised word-terms (and those similar to them) are uniconcept composites and in terms of the norms of modern Georgian literary language are written together (without hyphen).

К ПРАВИЛЬНОМУ НАПИСАНИЮ ОДНОТИПНЫХ, ОДНОПОНЯТИЙНЫХ, СОЧИНЕННЫХ ЭКОНОМИЧЕСКИХ НЕОЛОГИЧЕСКИХ ТЕРМИНОВ В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ

**КУПУНИА-ЦХАДАДZE Е. Г.,
ЦХАДАДZE Б. А.,
ЦХАДАДZE З. Б.**
zebede@rambler.ru

Резюме

Представители современной грузинской образованной общественности, грузинские средства массовой информации, специалисты и эксперты, экономисты, ученые-исследователи, работники государственного и негосударственного секторов и др. нередко сочиняемые неологические экономические термины пишут неправильно в языково-грамматическом плане, с точки зрения прикладной лингвистики, литературных норм. Очевидно, что такие случаи не являются следствием невежества или недостатка образованности. По нашему мнению, неправильное написание однопонятийных композитов, таких как, например, ბიზნესინჟინერინგი, ბიზნეს-სუბიექტი, ბიზნესპროცესები, ბიზნესსამართალი (бизнес-инжинеринг, бизнес-субъект, бизнес-процессы, бизнес-право) и др., раздельно или через дефис: ბიზნეს ინჟინერინგი // ბიზნეს-ინჟინერინგი,

ბიზნეს სუბიექტი // ბიზნეს-სუბიექტი, ბიზნეს პროცესები // ბიზნეს-პროცესები, ბიზნეს სამართალი // ბიზნეს-სამართალი (бизнес инжинеринг // бизнес-инжинеринг, бизнес субъект // бизнес-субъект, бизнес процессы // бизнес-процессы, бизнес право // бизнес-право) обусловлено влиянием иностранных языков (английского, русского...) на грузинский язык (например, груз. - biznes-inJineringi, англ. - business-engineering, русский - бизнес-инжинеринг).

Напомним образованной общественности и пользователям терминов, рассмотренных выше, что у каждого языка есть собственные орфографические правила, нормы и структура. Все вышеупомянутые (и подобные им) сочиненные слова-термины являются однопонятийными композитами и с точки зрения норм современного грузинского литературного языка пишутся вместе (без дефиса).